



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

14 ივნისი 2024



N 306/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში, შპს „მტკვარი ჰესის“ 54,1 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მტკვარი ჰესი) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „მტკვარი ჰესის“ (ს/კ 205271043) მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 18 იანვარს (წერილი N507) წარმოდგენილ იქნა ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში, მდ. მტკვარზე 54,1 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მტკვარი ჰესი) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N58/ს 30.01.2024) და დოკუმენტაციის შესაბამის უწყებებთან გადაგზავნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

შპს „მტკვარი ჰესის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილი იქნა ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში, 53 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „მტკვარი ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N28; ბრძანება N512/ს 03.10.2023).

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, შპს „მტკვარი ჰესის“ მიმართ, ცვლილების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელების ფაქტზე, 2024 წლის 21 მარტს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №089404 ოქმი.

მტკვარი ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2009 წლის 3 ნოემბერს გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N98 (ბრძანება N553/05.11.2009). სამშენებლო სამუშაოების დაწყების პროცესში საპროექტო დოკუმენტაციაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რამაც გამოიწვია ჰესის ტექნიკური დეტალების ცვლილება და დადგმული სიმძლავრის გაზრდა 43 მეგავატიდან 53 მეგავატამდე; ბეტონის კაშხლის ნაცვლად მოეწყო მიწაყრილის კაშხალი; წყლის გატარება მოხდა საექსპლუატაციო-სამშენებლო წყალსაგდებით, ნაცვლად კაშხლის წყალსაშვიანი ნაწილისა; გაიზარდა წყალსაცავის მოცულობა, ასევე სარკის ზედაპირის ფართობი (ნაცვლად 0,5 კმ²-სა გახდა 0,62 კმ²; გაიზარდა ენერგეტიკული დანიშნულებით ასაღები წყლის ხარჯი (ნაცვლად 52,8 მ³/წმ-სა გახდა 63,8 მ³/წმ), ეკოლოგიური ხარჯის (5,8 მ³/წმ) რაოდენობის ცვლილების გარეშე; ჰესის

შენობაში დაგეგმილი ჰიდროაგრეგატები, კერძოდ ორი ერთეული 21,5 მგვტ დადგმული სიმძლავრის ტურბინები შეიცვალა ორი ერთეული 26,5 მგვტ სიმძლავრის ტურბინით. აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 11 ივნისის N2-512 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ასევე, მტკვარი ჰესის სადაწნეო გვირაბის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებაზე (გვირაბის ჩრდილოეთ პორტალთან დამატებითი შესასვლელი შტოლნის მოწყობა და ექსპლუატაცია) 2019 წლის 5 დეკემბრის N2-1180 ბრძანებით გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება და საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებარე „მტკვარი ჰესი“ განთავსებულია ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე კერძოდ, კაშხალი და საათობრივი რეგულირების წყალსაცავი მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. რუსთავიდან 2 კმ-ის დაცილებით, ხოლო ძალური კვანძი - ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. საყუნეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ძალური კვანძიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაცილებულია 305 მეტრით, ხოლო სათავე ნაგებობიდან 1340 მ-ით. პროექტის მიხედვით, მტკვარი ჰესი იქნება საათობრივი რეგულირების დერივაციული ტიპის ჰესი, რომლის დადგმული სიმძლავრე იქნება 53 მგვტ. ელექტროენერჯის საშუალო წლიური გამომუშავება 245,1 მლნ. კვტ/სთ. ჰესის საანგარიშო წყლის ხარჯია 63,8 მ³/წმ.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) და პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურის მოწყობის ადგილმდებარეობის ალტერნატივები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ცვლილებების უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლისა და ჰესის უსაფრთხოების ნორმებისა და გარემოზე შემცირებული ზემოქმედების კუთხით. რაც შეეხება ადგილმდებარეობის ალტერნატივებს, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი ნაგებობები განთავსდება ჰესის სამშენებლო არეალში, სამშენებლო სამუშაოები შესრულებული იქნება უკვე აშენებული ნაგებობის ფარგლებში და ახალი ტერიტორიების ათვისება არ მოხდება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია დამატებითი წყალსაგდების ადგილის ალტერნატივისა და მცირე ჰესის (მტკვარი ჰესი 2) განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაცია.

ჰესის შემადგენლობაში იქნება: სათავე ნაგებობა, სადერივაციო-სადაწნეო სისტემა, ძალური კვანძი. სათავე ნაგებობასთან შეგუბებული წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი მაქსიმალური შეტბორვის პირობებში იქნება 0,62 კმ². წყალსაცავის სიგრძე იქნება 3,17 კმ, ხოლო სიგანე 0,445 კმ. წყალსაცავის მოცულობა მაქსიმალური შეტბორვის პირობებში იქნება 6,13 მლნ მ³, წყალსაცავის მაქსიმალური სიღრმე 25 მეტრი, ხოლო საშუალო სიღრმე 9,89 მ. კაშხლის მაქსიმალური სიმაღლეა 28 მ. ნორმალური შეტბორვის დონე 1016,74 მ.ზ.დ; მაქსიმალური შეტბორვის დონე 1018,04 მ.ზ.დ. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მტკვარი ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაიზრდება დადგმული სიმძლავრე და გამომუშავებული ელექტროენერჯია, რაც განპირობებული იქნება დამატებითი წყალსაგდების პროექტის ფარგლებში მცირე ჰესის (მტკვარი ჰესი 2) მოწყობით, რომლის დადგმული სიმძლავრე იქნება 1,1 მგვტ, ხოლო ელექტროენერჯის საშუალო წლიური გამომუშავება 8,64 მლნ. კვტ/სთ. შესაბამისად, პროექტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, ჰესის საერთო დადგმული სიმძლავრე ნაცვლად 53 მგვტ-სა იქნება 54,1 მგვტ, ხოლო ელექტროენერჯის საშუალო წლიური გამომუშავება ნაცვლად 245,1 მლნ. კვტ/სთ-სა იქნება 253,74 მლნ. კვტ/სთ. ეკოლოგიური ხარჯი შეადგენს 5,8 მ³/წმ-ს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სათავე ნაგებობის შემადგენლობაშია: მიწაყრილი კაშხალი, საექსპლუატაციო და სამშენებლო წყალსაგდები, წყალგამყვანი მილები, თევზსავალი ნაგებობები და წყალმიმღები. მიწაყრილი კაშხლის საერთო სიგრძეა 675,5 მ, მაქსიმალური სიმაღლე 28 მ. კაშხლის თხემის ნიშნული შეადგენს ზღვის დონიდან 1018 მ-ს, ხოლო ძირის ნიშნული 990 მ. მიწაყრილი კაშხალი შედგება 4 უბნისაგან, რომელთაგან, I უბანი კეტავს მდინარის პირველ

მოსახვევს, II უბანი - მდინარის მეორე მოსახვევს; III უბანი აკავშირებს კაშხლის I უბანს საექსპლუატაციო და სამშენებლო წყალსაგდებთან, IV უბანი კეტავს წყალსაგდებსა და თევზსავალს შორის არსებულ სივრცეს. კაშხლის III უბნის თხემის სიგანე შეადგენს 8,5 მ-ს, საავტომობილო გზის მოწყობა გათვალისწინებულია კაშხლის III უბნის თხემის გასწვრივ. ბეტონის გზის სიგანე იქნება 6 მეტრი. ამასთან წყალმიმღებთან მისასვლელი გზა წარმოადგენს მიწაყრილი კაშხლის თხემზე მოწყობილი გზის განშტოებას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, წყალსაგდების ქვედა ღიობებიდან მოხდება დაგროვილი ნატანის ქვედა ბიეფში გაშვება. წყალმიმღებისთვის წყლის მიწოდება უზრუნველყოფილი იქნება კაშხლის I უბანზე მოწყობილი წყალგამტარი მილებით.

კაშხლის III უბნის სამხრეთ დასავლეთით, სამშენებლო-საექსპლუატაციო წყალსაგდების პარალელურად (გამოსასვლელი პორტალიდან 280 მ-ის დაცილებით), მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ფერდობზე მოწყობილია ე.წ კიბისებური (აუზებიანი) თევზსავალი. პროექტის მიხედვით, თევზსავალის საერთო სიგრძეა 450 მ. ზედა და ქვედა ბიეფებს შორის სიმაღლეთა სხვაობა შეადგენს 25,14 მ. კამერების-აუზების საერთო რაოდენობაა 166 ერთეული. თევზსავალის შუა ნაწილში მოწყობილია 2 თევზსავალი არხი. არხების სიგანეა 3 მ, დახრილობა 2:1, ხოლო სიგრძე 220 მ. თევზსავალის გასასვლელი მდებარეობს მარცხენა სანაპიროზე, წყალსაგდებიდან 200 მ-ის დაცილებით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, წყალსაცავის ოპერირების პროცესში წყლის დონის ცვლილებასთან დაკავშირებით, თევზსავალის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით, გათვალისწინებულია სამი გასასვლელის მოწყობა. თევზსავალის გასასვლელი აღჭურვილია ჩამკეტი სარეგულაციო ფარებით (საკეტებით). გზმ-ის ანგარიშის თანახმად, 2020 წელს თევზსავალის ზედა ნაწილის გასასვლელში განხორციელდა მცირე ჰიდრომექანიკური ცვლილებები, რაც გულისხმობდა წყალსაცავის მხრიდან მე-5 საკეტის და არხში 2 მცირე ზომის საკეტის დამატებას. გასასვლელი ნაგებობის სიგრძე შეადგენს 6,5 მ-ს, ხოლო სიმაღლე 6,3 მ-ს. გათვალისწინებულია სიღრმული წყალმიმღების მოწყობა, რომელიც აღჭურვილია სარემონტო და საავარიო ჩამკეტი ფარებით. წყალმიმღების ზომებია 16,4 x 17,975 მ. წყალმიმღების თხემის ნიშნული ზღვის დონიდან 1018 მ-ის სიმაღლეზეა. წყალმიმღებს ექნება ერთი შესასვლელი პორტალი, სადაც მოეწყობა ნაგავდამჭერი ზომით 9,56 x 8,2 მ. წყალმიმღების ორივე მხარეს მოეწყობა საყრდენი კედლები.

სათავე კვანძიდან ძალურ კვანძამდე წყლის მიწოდება მოხდება სადერივაციო-სადაწნეო სისტემის საშუალებით, რომლის შემადგენლობაში შედის 9,6 კმ სიგრძისა და 5,26 მ დიამეტრის მიმყვანი გვირაბი, გამათანაბრებელი რეზერვუარი და 3 მ შიდა დიამეტრის სატურბინე მილსადენი.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, გათვალისწინებულია მიწისზედა ტიპის ჰესის შენობის მოწყობა, რომლის სიგრძე იქნება 33,9, მ ხოლო სიგანე 27,22 მ. ჰესის შენობის საერთო სიმაღლე მიწისზედა ნაგებობის ჩათვლით არის 33,2 მ. ჰესის ძალური კვანძის საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 4500 მ²-ს. ჰესის შენობის ძირის ნიშნულია 907 მ, ხოლო სახურავის ზედაპირის ნიშნული 924,7 მ ზღვის დონიდან. ჰესის შენობაში დამონტაჟებულია ფრენსისის ტიპის ორი ჰიდროაგრეგატი (სრული დადგმული სიმძლავრე 53 მგვტ). ჰესისთვის გათვალისწინებულია ორი ტრანსფორმატორის დამონტაჟება, რომელთა სიმძლავრეა 32 მვა. ჰესის მიერ გამომუშავებული წყალი გამყვანი არხის საშუალებით ჩაშვებული იქნება მდ. მტკვარში. პროექტით გათვალისწინებულია 86,2 მ სიგრძისა და 18 მ სიგანის გამყვანი არხის მოწყობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ძალური კვანძის ტერიტორიაზე მოწყობილია 220 კვ ძაბვის ქვესადგური, რომელიც მდებარეობს ჰესის შენობის აღმოსავლეთით 70 მ-ის დაცილებით. ქვესადგურის ტერიტორიის ზომებია 87 x 70,5 მ. ქვესადგურის მომსახურებისთვის მოწყობილია მისასვლელი გზა, ტერიტორია შემოღობილია და დაფარულია ღორღის ფენით. ჰესის ქვესადგურიდან გამომუშავებული ელექტროენერჯის მიწოდება მოხდება „ახალციხე 500/400/220“ კვ ძაბვის ქვესადგურზე 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზით. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ტერიტორიაზე დაგეგმილია $V=100$ მ³ მიწისქვეშა ავზის განთავსება

ტრანსფორმატორიდან ზეთის ავარიული დაღვრის შემთხვევებისთვის, სადაც ზეთი და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყალი მილსადენის საშუალებით ჩაშვებული იქნება ავზში.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ჰესის შემადგენელი ობიექტების განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაცია, რაც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში და შპს „მტკვარი ჰესის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს (ძალური კვანძის ნაგებობების განთავსების საკადასტრო კოდებია: 62.05.58.020; 62.05.58.094; 62.05.58.093; 62.05.58.241; 62.05.58.240. სადაწნეო გვირაბის დერეფნის: 62.00.037. სათავე ნაგებობების და წყალსაცავის ქვაბულის: 60.06.31.440; 60.06.31.003; 60.06.31.208).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არსებული მდგომარეობით ჰესის სამშენებლო სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულებულია, კერძოდ: დამთავრებულია ჰესის შენობის და ქვესადგურის სამშენებლო სამუშაოები, დასრულდა კაშხლის ოთხივე უბნის მშენებლობა, მოწყობილია თევზსავალი, წყალმიღები, ფსკერული წყალსაგდები და სხვა. დასრულების პროცესშია სატურბინე მილსადენის სამონტაჟო სამუშაოები, დამთავრებულია გვირაბის გაყვანის სამუშაოები და მიმდინარეობს შიდა ზედაპირის მოპირკეთება და სხვა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი იქნა თავდაპირველი პროექტის გარკვეული ხარვეზები, რაც დაკავშირებული იყო ჰესის უსაფრთხო ექსპლუატაციასთან. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჰესის ძირითად პროექტში შეტანილი ყველა ცვლილება მიღებულია ჰესის ნაგებობების მდგრადობის გაუმჯობესების და უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობების უზრუნველყოფის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტში შეტანილი ცვლილება, საპროექტო დერეფნის გაფართოებას არ ითვალისწინებს და არ იქნება გარემოზე ზემოქმედების დამატებით რისკებთან დაკავშირებული. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- გრუნტის კაშხლის მე-2 უბნის ზედაპირზე ეწყობა ფილტრაციის საწინააღმდეგო გეომემბრანა ამავე უბანში (ზედა ბიეფის მხრიდან) დამატებით ეწყობა ჩამკეტი ბეტონის კედელი, ხოლო ფუძეში საცემენტაციო ფარდა. მე-3 და მე-4 უბნებს შორის ეწყობა ზედაპირული (დამატებითი) წყალსაგდები; სიღრმული წყალსაგდების საექსპლუატაციო ფარების რეგულირება (ნაცვლად მექანიკური ხრახნიანი მექანიზმისა) გათვალისწინებულია ჰიდროამპრავებით, ხოლო ზედაპირული წყალსაგდების მარჯვენა ბურჯში ეწყობა ეკოლოგიურ ხარჯზე მომუშავე 1.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის მცირე ჰესი-მტკვარი ჰესი 2 (ხარჯმზომი სისტემით);
- ზედაპირული წყალსაგდების მარცხენა კედელთან ეწყობა რეკონსტრუირებული თევზსავალი;
- გვირაბის გაყვანის დროს გამოვლენილი სუსტი ქანების მონაკვეთებზე გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის დამატებითი 25 სმ-იანი სისქის მოპირკეთება დაახლოებით 1.5 კმ-ის სიგრძეზე, ასევე გამათანაბრებელი რეზერვუარის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, მის შიდა ზედაპირზე დამატებით მოხდება 25 სმ სისქის რკინა-ბეტონის მოსახვა და იზრდება სიმაღლე 5 მ-ით;
- გვირაბის ინსპექტირების მიზნით ეწყობა მასთან მისასვლელი გვირაბი და ამასთან დაკავშირებით საცობი და ჰერმეტიკული კარი;
- სატურბინე მილსადენზე ეწყობა დისკური საკეტები და მათ სამართავად შენობა;
- წყალსაცავიდან სადაწნეო აუზში წყლის მიწოდებისათვის გათვალისწინებული არხების (მილების) საკეტები ამოღებულია პროექტიდან;
- თევზსავალის ზედა გასავლელში წყალსაცავის მხრიდან დაემატა მე-5 საკეტი და თევზსავალ არხში ორი მცირე ზომის საკეტი;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ჰიდრომეტრიული სადგურის ნაცვლად, კაშხლის ქვედა ბიეფში დამონტაჟდება ავტომატური ხარჯმზომი;

- გვირაბგამყვანი მანქანის გამოსასვლელი მოედნის მოწყობისათვის საჭირო ფართობის უზრუნველყოფის მიზნით წყალმიმღები 1.3 მ-ით გადაადგილებულია აღმოსავლეთის მხარეს.
- წყალმიმღებში თევზის მოხვედრის პრევენციის მიზნით გათვალისწინებულია ელექტროიმპულსური თევზამრიდი მოწყობილობის მოწყობა;

კაშხლის პირველი უბნის ტანში გათვალისწინებული იყო ფილტრაციის საწინააღმდეგო ფარდა, რომლის მოწყობის აუცილებლობა გაუქმდა, ხოლო კაშხლის მე-2 უბანზე ნაცვლად ქვანაყარი კაშხლისა თიხის გულით, გაკეთდება ქვანაყარი კაშხალი ფილტრაციის საწინააღმდეგო მემბრანით. ავანკამერის მხრიდან ფერდზე მოეწყობა ფილტრაციის საწინააღმდეგო მემბრანა, რომლის ძირში მოეწყობა რკინა-ბეტონის ფილა ცემენტაციით და კედლით, მდინარის კალაპოტში. კაშხლის მე-2 უბნის ფერდობი ავანკამერის მხრიდან მოეწყობა ბერმების გარეშე 1:3 ქანობით. კაშხლის მე-3 უბნის ტანში მოეწყობა რკინა-ბეტონის ჩამკეტი კედლები, რომლებიც გადავა რკინა-ბეტონის საცემენტაციო ფილაში.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სათავე ნაგებობაზე პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით, წყალსაგდების ძირითადი კონსტრუქცია და გამტარობა რჩება უცვლელი. არ იცვლება ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობა, მაგრამ ხარჯის გატარება ნაცვლად ზედაპირული წყალსაგდებისა მოხდება მცირე ჰესის (მტკვარი ჰესი 2) მეშვეობით, რომელიც მოეწყობა კაშხლის ქვედა ბიეფში. იცვლება ჰიდრომექანიკური აღჭურვილობა, კერძოდ მუშა საკეტები აღჭურვილი იქნება ჰიდრავლიკური ამძრავებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ცვლილებით შესაძლებელი იქნება წყალსაგდების ორივე საკეტის ერთდროულად გაღება, საკეტების ნაწილობრივ გაღება გასატარებელი ხარჯის რაოდენობის რეგულირების მიზნით და ფარების მართვის (გაღება, დახურვის) ხანგრძლივობის შემცირება, რაც გზმ-ის ანგარიშის თანახმად, გააუმჯობესებს წყალსაგდების საკეტების მართვის პირობებს. პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით, თევზსავალის ზედა გასასვლელში მოხდა 3 დამატებითი საკეტის მოწყობა, მათ შორის ერთი წყალსაცავში გასასვლელის მხარეს და ორი თევზსავალ არხში. ცვლილებით დაგეგმილია დამატებითი წყალსაგდების მოწყობა კაშხლის მე-4 უბნის ფარგლებში, რომელიც მდებარეობს ზედაპირულ წყალსაგდებსა და თევზსავალს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დამატებითი წყალსაგდები უზრუნველყოფს 1 900 მ³/წმ წყლის ხარჯის გატარებას, რის შედეგადაც, კაშხალზე არსებული და ახლად დაპროექტებული წყალსაგდებების საშუალებით შესაძლებელი იქნება სამოწმებელი (კატასტროფული) წყალდიდობის 3 400 მ³/წ-ის ხარჯის ქვედა ბიეფში უსაფრთხო გატარება. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დამატებითი წყალსაგდების შემადგენლობაში გათვალისწინებულია 45 მ სიგანისა და 12 მ სიგრძის მიმყვანი არხი.

მცირე ჰესის-მტკვარი ჰესი 2 (დადგმული სიმძლავრე 1,1 მგვტ) მოწყობა დაგეგმილია კაშხლის მე-3 უბანსა და დამატებითი წყალსაგდებს შორის. მცირე ჰესის წყალმიმღები მოეწყობა, ზღვის დონიდან 1007,25 მ ნიშნულზე, საიდანაც ტურბინაზე წყლის მიწოდება მოხდება სადაწნეო მილსადენით. წყალმიმღების დიობის ზომებია: სიგანე 2,3 მ, სიმაღლე 3,5 მ. წყალმიმღების შესასვლელთან წყლის სიჩქარე იქნება საშუალოდ 0,72 მ/წმ. წყალმიმღების წინ დაგეგმილია ნაგავდამჭერი გისოსის და ელექტროიმპულსური თევზამრიდი ნაგებობის მოწყობა. ჰესის ტურბინაზე წყლის მიწოდებისათვის გათვალისწინებულია 44 მ სიგრძის და 1,45 მ დიამეტრის ფოლადის სადაწნეო მილსადენი, რომელიც განთავსებული იქნება რკინაბეტონის კონსტრუქციაში. მილსადენში წყლის სიჩქარე იქნება 3,5 მ/წმ. ჰესის საერთო დაწნევა იქნება 22,74 მ, ხოლო სუფთა დაწნევა 22,3 მ.

მცირე ჰესის (მტკვარი ჰესი 2) სააგრეგატე შენობა განთავსებული იქნება ცალკე მდგომ შახტური ტიპის ბეტონის კონსტრუქციაში დამატებითი წყალსაგდების საყრდენი კედლის გაგრძელებაზე. სააგრეგატე შენობაში დამონტაჟებული იქნება ამწე მექანიზმი აგრეგატის ტექნიკური მომსახურების მიზნით. სააგრეგატე შენობაში დამონტაჟდება ერთი ერთეული კაპლანის ტიპის ვერტიკალური ტურბინა (Saxo). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მცირე ჰესი იმუშავებს მუდმივ რეჟიმში და უზრუნველყოფილი იქნება ეკოლოგიური ხარჯის უწყვეტი გატარება. მცირე ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება 1,1 მგვტ, ხოლო ელექტროენერჯის

საშუალო წლიური გამომუშავება 8,64 მგვტ/სთ. ჰესის მიერ გამომუშავებული წყალი ჩაშვებული იქნება ქვედა ბიეფში.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მცირე ჰესის (მტკვარი ჰესი 2) სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 17 თვეს, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდი 30 წელს. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული მცირე ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელთან მიერთება მოხდება, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ გაცემული ტექნიკური პირობის მიხედვით, ქვესადგურში „ასპინძა 110/35/10“ (10 კვ ძაბვაზე). ქ/ს „ასპინძა 110/35/10“-ში 10 კვ ძაბვის სახაზო უჯრედიდან მცირე ჰესის (მტკვარი ჰესი 2) საპროექტო 10 კვ ძაბვის ქ/ს-მდე (კონტეინერი) გათვალისწინებულია 10 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა. საპროექტო 10 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ტრასის სიგრძე შეადგენს 15 121 მ-ს, ხოლო საკაბელო ხაზის სიგრძე 80 მეტრს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ეგხ-ს დერეფანი ძირითადად გაივლის დაუსახლებელ ტერიტორიებზე. საპროექტო დერეფანში ხე-მცენარეები წარმოდგენილი არ არის. საჰაერო ეგხ-სთვის გათვალისწინებულია 261 საყრდენის მოწყობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით აღარ მოხდება დაგეგმილი ნატანდამჭერი ნაგებობის მოწყობა, რაც გზშ-ის ანგარიშის თანახმად, განპირობებულია წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების, მეწყრული პროცესების გააქტიურებისა და მყარი ნატანის მართვის საკითხების გათვალისწინებით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წყალსაცავის ქვაბულში დაღეილი ნატანის მართვა მოხდება პერიოდულად, წელიწადში 2 ჯერ, გაზაფხულის და შემოდგომის წყალდიდობის პერიოდებში. წყალსაცავის რეცხვის ვადების და ხანგრძლივობის შეთანხმება მოხდება მდ. მტკვრის ქვედა დინებაში მოქმედი ჰესების მმართველ კომპანიებთან შეთანხმებით.

პროექტში შეტანილი ცვლილება, მაქსიმალური შეტბორვის პირობებში წყალსაცავის მოცულობის (6,13 მლნ მ³) და წყლის სარკის ზედაპირის ფართობის (0,62 კმ²) ცვლილებასთან დაკავშირებული არ არის. შეიცვლება მინიმალური შეტბორვის დონე, რაც ნაცვლად ზღვის დონიდან 1011,75 მ ნიშნულისა იქნება 1015,74 მ. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მცირდება წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა (ნაცვლად 2,67 მლნ მ³-სა იქნება 0,53 მლნ მ³). ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, წყალმიმღების კონსტრუქცია და პარამეტრები შეცვლილი არ არის, მცირე გადაადგილება მოხდა აღმოსავლეთის მხარეს 1,3 მ-ით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გვირაბის გამოსასვლელ პორტალთან მოწყობილია 50 მ სიგრძის ტექნოლოგიური შტოლნი, რომლის გამოყენება გათვალისწინებული იყო ტექნიკური დათვალიერებისა და სარემონტო სამუშაოების დროს გვირაბში შესასვლელად. პროექტში შეტანილი ცვლილებით, შტოლნის გვირაბთან შეერთების კვანძში გაკეთდება რკინა-ბეტონის საცობი და დაილუქება. გვირაბის ტექნიკური დათვალიერებისა და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით ტექნოლოგიური შტოლნი დაგრძელებულია 330 მ-მდე და შესასვლელი ჰერმეტიკული კარი ნაცვლად 3კ95+50.5-სა დამონტაჟდება 3კ93+35.37-ზე. აღნიშნული ცვლილებით, ჰერმეტიკული კარი გადატანილია გამათანაბრებელი რეზერვუარის ზედა ბიეფში.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მიმყვანი გვირაბის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, გვირაბის სხვადასხვა მონაკვეთებზე (საერთო სიგრძით 1,5 კმ), გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის დამატებითი მოსახვა. ასევე, გამათანაბრებელი რეზერვუარის შიდა ზედაპირზე დამატებით 35 სმ სისქის რკინა-ბეტონის მოსახვა. რის გამოც, რეზერვუარის შიდა ზედაპირის დიამეტრი მცირდება 0,7 მ-ით და ნაცვლად ძირითადი პროექტით განსაზღვრული 20 მეტრისა შეადგენს 19,3 მ-ს, ხოლო, სიმაღლე იზრდება 5 მ-ით და ზედა ნიშნული ნაცვლად ზღვის დონიდან 1033 მ-სა იქნება 1038 მ. ცვლილებით გათვალისწინებულია სატურბინე მილსადენის ზევით ავარიული საკეტების და მათი განთავსებისათვის შენობის მოწყობა, რომლის ზომები იქნება სიგრძე 30,6 მ, სიგანე 10,4 მ და სიმაღლე 13,9 მ.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის ექსპლუატაციის პროცესში ძალური კვანძის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით

გათვალისწინებული „Biotal-5“-ის ტიპის გამწმენდი ნაგებობის ნაცვლად მოეწყო „Topa Ero16“-ის ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი, რომლის წარმადობა შეადგენს 16 მ³. გამწმენდი დანადგარის განთავსების კოორდინატებია X=343072, Y=4617002. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება გამყვან არხში და შემდეგ მდ. მტკვარში. ჩაშვების წერტილის კოორდინატებია: X=343101, Y=4617084.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ცვლილებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის დამატებითი პერსონალის დასაქმება გათვალისწინებული არ არის და რადგან ძირითადი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები უკვე დამთავრებულია, დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება დაახლოებით 150 ადამიანი. პროექტის მიხედვით, ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე დასაქმებული იქნება 24 ადამიანი. ჰესი იმუშავებს წელიწადში 365 დღის განმავლობაში, 24 საათიან რეჟიმში 2 ცვლად. ექსპლუატაციის ფაზაზე დასაქმებული იქნება ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მინისტრის 2019 წლის 11 ივნისის N2-512 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულებისა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინსპექტირების დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტში შეტანილი ცვლილებებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმართვა მოხდება არსებული სამშენებლო ინფრასტრუქტურის გამოყენებით, კერძოდ სათავე ნაგებობის ტერიტორიაზე და ძალური კვანძის ტერიტორიაზე არსებული ბანაკებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ცვლილებების განხორციელებისათვის დამატებითი სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოწყობა არ მოხდება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სათავე ნაგებობაზე არსებული სამშენებლო ბანაკის (N1 სამშენებლო ბანაკი) საოფისე და საცხოვრებელი სათავსები განლაგებულია მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე კაშხლის I უბნის ზედა ბიეფში, ხოლო სამშენებლო ინფრასტრუქტურა მოწყობილია მდინარის მარცხენა სანაპიროზე. N1 ბანაკი უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვრიდან დაშორებულია (სოფ. რუსთავი) დაახლოებით 2 კილომეტრით. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილია 2 ერთეული ბეტონის კვანძი (30 მ³/სთ და 70 მ³/სთ წარმადობის) და 40 მ³/სთ წარმადობის ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო. სამშენებლო ბანაკში ტექნიკური მიზნებისათვის გამოყენებულია მდ. მტკვრის ფილტრატები, რისთვისაც მდინარის მარცხენა სანაპიროზე მოწყობილია შახტური ჭა. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებულია მდინარის მარცხენა სანაპიროზე არსებული ლიცენზირებული ჭაბურღილის წყალი. ჭაბურღილის სანიტარიული დაცვის პირველი ზონა შემოღობილია მავთულბადით. ბანაკის ტერიტორიაზე და ცალკეულ სამშენებლო მოედნებზე მოწყობილია რეზერვუარები, წყლის მარაგის შესაქმნელად. ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის მოწყობილია დაახლოებით 1200 მ³ ტევადობის სალექარი, სალექარში გაწმენდილი წყალი, ჩაედინება მდ. მტკვარში. ჩაშვების წერტილის გეოგრაფიული კოორდინატებია X=345400, Y=4607216. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით დამონტაჟებულია ბიოტალ-3 ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა. გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება მდ. მტკვარში. ჩაშვების წერტილის გეოგრაფიული კოორდინატებია X=345539, Y=4607240. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, 70 მ³/სთ წარმადობის ბეტონის კვანძზე დამონტაჟებულია ოთხი 100 მ³ ტევადობის ცემენტის სილოსი, ხოლო 30 მ³/სთ წარმადობის ბეტონის კვანძზე 3 ერთეული 100 მ³ ტევადობის ცემენტის სილოსი. სილოსები აღჭურვილია სტანდარტული ფილტრებით. ბანაკის ტერიტორიაზე საწვავის სამარაგო რეზერვუარები არ არის განთავსებული. საწვავის შეტანა ხდება ავტოცისტერნის საშუალებით. საპოხი მასალები და ზეთები ინახება ფარდულის ტიპის სათავსოში, რომელიც გადახურულია და იატაკი დაფარულია ბეტონის საფარით.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკი (N2 სამშენებლო ბანაკი) განთავსებულია მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. საყუნეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილია საოფისე და საცხოვრებელი კონტეინერული ტიპის შენობები, სასადილო, ბეტონის კვანძი, სასაწყობო სათავსები, ტრანსპორტის სადგომი და

დამხმარე საამქროები. ტერიტორიაზე მოწყობილია მოხრეშილი შიდა გზები. დამონტაჟებულია ღამის განათება. მოწყობილია სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მარეგულირებელი ნიშნები. სამშენებლო ბანაკიდან უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვრამდე მანძილი შეადგენს 275 მეტრს. ტერიტორიაზე არსებული ბეტონის კვანძის წარმადობა შეადგენს 30 მ³/სთ-ს. დამონტაჟებულია 2 ერთეული 100 მ³ ტევადობის სილოსი, რომლებიც აღჭურვილია ქსოვილის ფილტრებით. ტერიტორიაზე საწვავის სამარაგო რეზერვუარები განთავსებული არ არის. ტერიტორიაზე საწარმოო დანიშნულებით წყლის გამოყენება ხდება ბეტონის კვანძისათვის, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისა და ამტკერების საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის. სულ ტექნიკური მიზნებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 14 240 მ³/წელს. ტექნიკური მიზნებისათვის წყლის გამოყენება ხდება მდ. მტკვრიდან (წყალაღების წერტილის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია X=342950, Y=4617025). სასმელი წყლით მომარაგება ხორციელდება ლიცენზირებული ჭაბურღილის წყლით. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად მოწყობილია 192 მ³ ტევადობის ბეტონის ჰერმეტიკული სასენიზაციო ორმო, რომლის განტვირთვა ხდება ქ. ახალციხის წყალკანალის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია N1 და N2 ბანაკის საცხოვრებელი სათავსებისა და სამშენებლო ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილის კოორდინატების შესახებ ინფორმაცია.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაახლოებით 350 000 მ³ მოცულობის ფუჭი ქანების წარმოქმნა მოსალოდნელი დამატებითი წყალსაგდების და მცირე ჰესის (მტკვარი ჰესი 2) მოწყობისათვის დაგეგმილი საექსკავაციო სამუშაოების შესრულების პროცესში, ხოლო დამატებითი შესასვლელი გვირაბის გაყვანის პროცესში -9 400 მ³ მოცულობის. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, წარმოქმნილი ქანები გამოყენებული იქნება კაშხლის პირველი და მე-2 უბნების პროექტში შეტანილი ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის, კერძოდ: კაშხლის ტანის, ფერდებისა და ბერმების ფორმირებისათვის. გარდა ამისა, ფუჭი ქანების გამოყენება დაგეგმილია მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე არსებული მეწყრული უბნების სტაბილიზაციისათვის გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუდმივ განთავსებას შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ ფუჭი ქანების მცირე ნაწილი, დაახლოებით 4-5 ათასი მ³. ფუჭი ქანების განთავსება მოხდება არსებულ სანაყაროზე და ფუჭი ქანების ახალი სანაყაროს მოწყობას არ საჭიროებს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, არსებული სანაყაროს ფართობი შეადგენს 7,36 ჰა-ს, რომელიც მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე ზღვის დონიდან 890 და 975 მ ნიშნულებს შორის. სანაყარო შედგება 8 სხვადასხვა სიგრძის ბერმისაგან, რომელთა სიგანე შეადგენს 4-5 მ-ს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბერმების სიგანიდან გამომდინარე მათზე შესაძლებელია სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება და მუშაობა. სანაყაროზე დასაწყობებული ფუჭი ქანების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 300 000 მ³-ს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სანაყაროს სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, სანაყაროს ძირზე მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დაგეგმილია ნაპირსამაგრის მოწყობა სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, რომლის პროექტი შეთანხმებული იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სანაყაროს ქვედა ბერმა, რომლის ფარგლებში დაგეგმილია დამცავი ნაგებობის მოწყობა, დღეისათვის აქტიურად გამოიყენება სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების გადასაადგილებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული ფუჭი ქანების სანაყაროს ფერდების ფორმირებისა და მდგრადობის ამაღლების მიზნით, კერძოდ: ფერდობებზე მოწყობილია ბერმები და წყალამრიდი არხები შემკრები ჭებით და გამყვანი კოლექტორებით, საიდანაც წყლების ჩაშვება ხდება მდ. მტკვარში. სანაყაროს ტერიტორიის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ეროზიული და მეწყრული პროცესების გააქტიურებას ადგილი არ აქვს. ფერდების ზედაპირზე გაშენებულია მრავალწლიანი ბალახები და ხე-მცენარეები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ახალციხე-ნინოწმინდის საავტომობილო გზის გადატანის პროექტით, კაშხლის ზედა ბიეფში დაგეგმილი გზის მონაკვეთის მოწყობის სამუშაოები

დამთავრებულია, ხოლო კაშხლის თხემის III უბანზე დაგეგმილი მონაკვეთის მოწყობა მოხდება კაშხლის სამშენებლო სამუშაოების დამთავრების პარალელურად, ხოლო წყალმიმღებთან/თევზსავალთან/დამატებით წყალსაგდებთან მისასვლელი გზა მოეწყობა - ცვლილებებით გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრების შემდეგ.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია და აღნიშნულია, რომ სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომდეგი მშენებლობა“ მიხედვით, მტკვარი ჰესის ნაგებობები განთავსებულია 8 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ძირითად პროექტში შეტანილი ცვლილებების ფარგლებში დამატებითი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია დამატებითი წყალსაგდების განთავსების არეალში. დამატებითი წყალსაგდების და მცირე ჰესი (მტკვარი ჰესი 2) საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გაყვანილ იქნა 4 შურფი (OVS) (ჯამური სიღრმით 73,5 მ.) წყალსაგდების ნაგებობის მარცხენა და მარჯვენა მხარეს და წყალსაგდების ჩამქრობი აუზის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის ფარგლებში. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, შეფასდა ფერდობის მდგრადობა. წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიხედვით, წყალსაგდების ბოლო მონაკვეთისაკენ, ფერდობებზე წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის, გამოფიტულობის და ნაპრალიანობის მქონე ქანები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ქანების მასივი საკმაოდ კარგი ხარისხისაა, გარკვეული ნაპრალების არახელსაყრელი მიმართულებების გამო მათზე შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს ისეთმა მოვლენებმა, როგორცაა დაცურება და მდგრადობის დარღვევა. აქედან გამომდინარე, მიწის სამუშაოების დროს რეკომენდებულია გარკვეული გამაგრებითი ღონისძიებების განხორციელება. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ფერდობის გამაგრებასთან დაკავშირებული შესაბამისი მითითებები.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის პროექტირების ფაზაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ჰესის ძალური კვანძის და სათავე ნაგებობის განთავსების ტერიტორიები საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების თვალსაზრისით სტაბილურია და პროცესების გააქტიურება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება წყალსაცავის მიმდებარე ფერდობებს, წარმოდგენილია სამი აქტიური და კარგად შესწავლილი მეწყერი, კერძოდ: მეწყრული უბანი 1 - მდებარეობს მდინარის მარჯვენა ნაპირზე და კაშხლის მახლობლად. მეწყრულ მასას უჭირავს 120-330 მ სიგანის და 1,3 კმ სიგრძის ტერიტორია. მეწყრული უბანი 2 - მდებარეობს მდინარის მარჯვენა ნაპირზე, კაშხლიდან დაახლოებით 2 კმ-ში და ესაზღვრება უშუალოდ მდინარის კალაპოტს. მეწყრის ზომებია სიგანე-360 მ, სიგრძე- 100-200 მ. მეწყრული უბანი - 5 მდებარეობს მდინარის მარცხენა ფერდობზე, კაშხლის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნულ უბანზე მეწყრის ზომებია: სიგრძე-120 მ, სიგანე 250 მ.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, წყალსაცავის მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე არსებული მეწყრული სხეულები მაღალი რისკის მატარებელია და ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე, წყალსაცავში წყლის დონის ცვლილება დიდი ალბათობით გამოიწვევს მეწყრული მასის წყალსაცავში ჩამოშლას. კაშხლის უშუალო სიახლოვეს მდებარე პირველი მეწყრული სხეულის ჩამოშლამ შეიძლება გამოიწვიოს ჰესის ექსპლუატაციის შეწყვეტა და კაშხლის თხემზე წყლის გადმოდინება და ამასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენები. ადგილი ექნება ასევე მარჯვენა ფერდზე გამავალი საავტომობილო გზის დაზიანებას და მოძრაობის შეფერხებას. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მე-2 მეწყრული სხეულის ჩამოშლის შემთხვევაში ჰესის ფუნქციონირებაზე მაღალი ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, მაგრამ არსებობს საავტომობილო მაგისტრალის დაზიანების მაღალი რისკი. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, წყალსაცავის მარცხენა სანაპიროს ფარგლებში მდებარე მე-5 მეწყრული უბანი, შედარებით მცირე მოცულობისაა და მისი გააქტიურება ჰესის ექსპლუატაციის პირობებზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

აღნიშნულ მეწყრულ უბნებთან დაკავშირებით, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებების, კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის ექსპლუატაციაში

გაშვებამდე აუცილებელია მეწყრების სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შესაბამისი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში და სისტემატური მონიტორინგის პირობებში, შესაძლებელი იქნება პირველი და მეორე მეწყრული უბნების სტაბილიზაცია, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ჰესის ექსპლუატაციის პირობებზე და საგზაო ინფრასტრუქტურაზე ნეგატიური ზემოქმედების ალბათობას. რაც შეეხება მარცხენა სანაპიროზე არსებულ მეწყერს, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მისი გააქტიურება ჰესის ექსპლუატაციის პირობებზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს, რადგან მისი მოცულობა წყალსაცავის მკვდარ მოცულობასთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მეწყრული უბნების სტაბილიზაციის სამუშაოების დაწყებამდე, პროექტი შეთანხმებული იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, უცვლელი რჩება საანგარიშო წყლის ხარჯი, ეკოლოგიური ხარჯის სიდიდე (5.8 მ³/წმ) და სხვა. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მტკვარი ჰესის კაშხლის უბანზე საშუალო წლიური ბუნებრივი ხარჯის (57,3 მ³/წმ), კაშხლის კვეთისათვის მდ. მტკვრის საშუალო წლიური ხარჯების შიგაწლიური განაწილების, მტკვარი ჰესის სათავე ნაგებობაზე და ძალურ კვანძზე წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების, წყლის მინიმალური ხარჯების საანგარიშო მნიშვნელობების და სხვა ჰიდროლოგიური მონაცემების შესახებ ინფორმაცია. ასევე გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მტკვარი ჰესის კაშხლიდან 75,3 კმ-ში ზედა ბიეფში, თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკინჯი ჰესის ქაიბეის კაშხლის მიერ მდ. მტკვრის ბუნებრივი ჩამონადენის ცვლილების შესახებ ინფორმაცია და აღნიშნულია, რომ მტკვარი ჰესის წყალსაცავში შემომავალი პოტენციური ხარჯი დამოკიდებულია ზედა ბიეფის ჰიდროელექტროსადგურების ოპერირების სქემაზე, ქაიბეის კაშხლის ზემოქმედების გათვალისწინებით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მოსალოდნელია მტკვარი ჰესის წყალსაცავში ზამთრის პერიოდში შემომავალი ხარჯის მცირედ გაზრდა, ქაიბეის წყალსაცავში წყლის დონის ეტაპობრივი შემცირების გამო. აღნიშნული ზემოქმედება გზშ-ის ანგარიშში შეფასებულია როგორც საშუალო.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის სათავე ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში, კაშხლის ქვედა ბიეფში გატარებული ეკოლოგიური ხარჯის აღრიცხვის მიზნით, პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი ხარჯმზომის დამონტაჟებას, ხოლო ენერგეტიკული მიზნებისათვის აღებული წყლის ხარჯის აღრიცხვა მოხდება ჰესის ძალურ კვანძში. გარდა აღნიშნულისა, ფილტრაციული ნაკადების აღრიცხვის და კაშხლის ტანის შესაძლო ცვლილებების სისტემატური მონიტორინგის მიზნით, პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი ავტომატური საკონტროლო-გამზომი აპარატურის დამონტაჟებას, კერძოდ: გათვალისწინებულია საყრდენი გეოდეზიური მარკერების და გრუნტის სიღრმული და ზედაპირული მარკერების მოწყობა, რომელთა საშუალებით გაკონტროლდება კაშხლის ტანში მიმდინარე ყველა კონკრეტული ცვლილება. კაშხლის ქვედა ბიეფში ბერმებზე მოეწყობა პიეზომეტრული ჭების სისტემა, რითაც გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შესაძლებელი იქნება ფილტრაციული ნაკადების მონიტორინგი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მტკვარი ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებების განხორციელების პროცესში, წყლის გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით საყურადღებოა დამატებითი ზედაპირული წყალსაცავების ჩამქრობი აუზის და გამყვანი არხის მშენებლობის პროცესში წყლის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედება. პროექტის მიხედვით, სამუშაოების შესრულება დაგეგმილია მდინარის მშრალ კალაპოტში, კერძოდ: მდინარის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ მოეწყობა ზღუდარი და მდინარის წყალი გატარებული იქნება მარჯვენა სანაპიროს მხარეს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წყლის ხარისხზე მოკლევადიანი ზემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ზღუდარის მოწყობის პროცესში, (სამუშაოები გაგრძელდება 15-20 დღის განმავლობაში). გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მტკვარი ჰესის გავლენის ზონაში მოქცეულ მდ. მტკვრის მონაკვეთზე არსებული წყალმომხმარებლების - შპს „რუსთავ-ჰესის“ მცირე ელექტროსადგურისა და სოფ. რუსთავის სარწყავი წყლით მომარაგების სისტემების შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „რუსთავ-ჰესის“ მცირე ჰესი, მდებარეობს მტკვარი ჰესის კაშხლის ქვედა ბიეფში დაახლოებით 1 კმ-ის დაცილებით, რომლის დადგმული სიმძლავრეა 0.51 მგვტ, ხოლო საპროექტო წყლის ხარჯი შეადგენს 6 მ³/წმ-ს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მტკვარი ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ შპს „რუსთავ-ჰესის“ ფუნქციონირება არ იქნება შესაძლებელი. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კომპანიებს შორის შეთანხმების შესახებ ინფორმაცია, მტკვარი ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე წარმოდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სოფ. რუსთავის მოსახლეობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიზნით, რწყვის სეზონზე სამი თვის განმავლობაში, კაშხლის ქვედა ბიეფში ეკოლოგიურ ხარჯთან ერთად დამატებით იქნება გატარებული 100 ლ/წმ ხარჯი. რის გამოც, მდინარის წყლის სარწყავად გამოყენება, სოფ. რუსთავის ქვედა დინებაში ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებული არ იქნება. ასევე, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წყალსაცავი გათვალისწინებულია წყლის ხარჯის საათობრივი რეგულირებისათვის და შესაბამისად, უხვწყლიან პერიოდებში მოხდება ნამეტი ხარჯის ქვედა ბიეფში გადადინება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, როგორც აღინიშნა კაშხლის ქვედა ბიეფში გატარებული ხარჯის სისტემატური მონიტორინგის მიზნით მცირე ჰესის (მტკვარი ჰესი 2) გამყვან მილზე და თევზსავალზე გათვალისწინებულია ავტომატური ხარჯმზომის დამონტაჟება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პერიოდში წყლის დაბინძურების რისკი არსებობს ძალური კვანძის ტერიტორიაზე ზეთების დაღვრით და გამყვან არხში ჩაჟონვით, ნამუშევარი წყლის ზეთით დაბინძურებით, ნარჩენების და სამეურნეო-ფეკალური წყლების არასწორი მართვის გამო. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ქვესადგურში გათვალისწინებული ზეთის შემკრები რეზერვუარის მოცულობა პროექტის მიხედვით აღემატება ტრანსფორმატორებში არსებული ზეთის მოცულობის 110%-ს, ხოლო ჰესის შენობაში გათვალისწინებული ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების შეგროვების სადრენაჟო სისტემის საშუალებით, აღნიშნული წყლების შეგროვება მოხდება შენობის იატაკის დაბალ ნიშნულზე მოწყობილ ზუმფებში, საიდანაც გადატუმბვა მოხდება სპეციალურად გამოყოფილ რეზერვუარში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კონტრაქტორს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ცვლილებებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდება უკვე ათვისებულ სამშენებლო მოედნებზე სადაც მცენარეული საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოხსნილია მშენებლობის საწყის ფაზაზე. ჰესის ნაგებობის სამშენებლო მოედნების მომზადების პროცესში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, დასაწყობებულია ძალური კვანძის მიმდებარე ტერიტორიაზე და მშენებლობის დამთავრების შემდეგ გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებისათვის.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლებისა და ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების შემცირების მიზნით შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდისათვის. მათ შორის: მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის ან მასზე ნაკლები ხარჯის მოდინების შემთხვევაში მოხდება ჰესის მუშაობის შეჩერება და მოდინებული წყლის ხარჯი სრულად გატარდება სათავე კვანძის ქვედა ბიეფში; ჰესის ექსპლუატაციის პირველი 5 წლის განმავლობაში დაგეგმილია წყლის ბიოლოგიური გარემოს მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება და ეკოლოგიური ხარჯის კორექტირება; წელიწადში ორჯერ, გაზაფხულისა და შემოდგომის წყალდიდობის შემდგომ, ჩატარდება მონიტორინგი სათავე კვანძის კვეთში ნატანის გატარებაზე; სამუშაოს დასრულების შემდეგ ყველა პოტენციური დამაბინძურებელი მასალა გატანილი იქნება ტერიტორიიდან; საწვავის/საპოხი მასალის დაღვრის შემთხვევაში მოხდება დაბინძურებული უბნის ლოკალიზაცია/გაწმენდა; დიდი რაოდენობით დაბინძურების შემთხვევაში დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი შემდგომი რემედიაციისათვის ტერიტორიიდან გატანილი იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორის მიერ და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან დღეისათვის პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მონაკვეთის ზედა და ქვედა დინებებში და მტკვარი ჰესის ნაგებობების მიმდებარე

ტერიტორიებზე არ მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, მშენებლობასთან დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედების რისკების ცვლილება ძირითად პროექტთან შედარებით მოსალოდნელი არ არის. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია მტკვარი ჰესის ქვედა ბიეფში არსებულ შპს „რუსთავ-ჰესის“ მცირე ჰესის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმზე და მყარი ნატანის ტრანსპორტირების პირობებზე, ადგილობრივ კლიმატზე და წყლის ბიოლოგიურ გარემოზე. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია კუმულაციური ზემოქმედების შემცირების მიზნით შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებით გათვალისწინებული სამუშაოების უზრუნველყოფისათვის, ინერტული მასალების შემოტანა მოხდება ლიცენზირებული კარიერებიდან, რომლებიც გამოყენებული იყო ძირითადი პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების პროცესში. სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება არსებული გზები და სატრანსპორტო მარშრუტები (საერთაშორისო მნიშვნელობის ხაშური-ახალციხე (ს-8) და ახალციხე-ნინოწმინდა (ს-11) საავტომობილო გზები). ექსპლუატაციის ეტაპზე შესრულებული იქნება მხოლოდ ჰესის ოპერირებასთან დაკავშირებული სატრანსპორტო ოპერაციები. გარკვეული ზემოქმედება მოსალოდნელია სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების შესრულების დროს, რაც მშენებლობის ფაზასთან შედარებით იქნება მნიშვნელოვნად ნაკლები. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია, ხოლო დეპარტამენტის ბალანსზე არსებული საავტომობილო გზის სანაცვლოდ ასაშენებელი ახალი გზის პროექტი შეთანხმებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტთან.

ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის მიხედვით, დამატებითი წყალსაგდები გარკვეულად შეცვლის ძირითადი პროექტით გათვალისწინებული კაშხლის ვიზუალურ სახეს, თუმცა წყალსაგდები გაერთიანებული იქნება კაშხლის კონსტრუქციასთან. ასევე, დისკური საკეტების შენობა ეწყობა სადაწნეო გვირაბის და სადაწნეო მილსადენების შეერთების მონაკვეთზე ჰესის ძალური კვანძის ტერიტორიაზე, სადაც წარმოდგენილია ჰესის შენობა ქვესადგური და სხვა ინფრასტრუქტურა და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არ არის. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს ქვედა ბიეფში მდინარის წყლის დებიტის შემცირებამ. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისათვის შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: მუდმივი ნაგებობების ფერის და დიზაინის შერჩევა ისე, რომ შეხამებული იყოს გარემოსთან; მშენებლობის დასრულების შემდგომ ძალური კვანძის ტერიტორიაზე, ხე-მცენარეების დარგვა და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ ხვდება, დაცული ტერიტორიების საზღვრებში, ასევე არ ხვდება მის ჩრდილოეთით მდებარე ზურმუხტის ქსელის უბნების: „ბორჯომ-ხარაგაული GE0000010“ და „ბორჯომ-ხარაგაული 2 GE0000056“-ის ტერიტორიებზე. საპროექტო უბანი არ არის მოქცეული ფრინველთათვის სპეციალური დაცული ტერიტორიების ფარგლებში (Spa), გარდა ამისა, არ ემთხვევა ფრინველთათვის მნიშვნელოვან ადგილებს (IBA). გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მტკვარი ჰესის არეალში მიმდინარე სამუშაოების შედეგად ჰაბიტატებისა და მცენარეულობაზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და ჩატარებული კვლევების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია. კვლევები ჩატარებულია ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე, რაც მოიცავდა საკვლევ დერეფანში არსებული ჰაბიტატების დეტალური ნუსხების შედგენას და მცენარეული საფარის ინვენტარიზაციას საკვლევ დერეფნის გასწვრივ. მონაცემები შეგროვდა მარშრუტული მეთოდითაც. მოხდა ასევე საფრთხის, ენდემურობის და დაფარულობის განსაზღვრა შესაბამისი სახეობებისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შეგუბების ზონაში მეტწილად წარმოდგენილია ჭალის ტყის დეგრადირებული კორომები და ბუჩქნარი, ჭალაში და მიმდებარე ფერდობებზე ასევე განვითარებულია მეორადი მდელოს მცენარეულობა. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული მცენარეული თანასაზოგადოებები და ლანდშაფტები ევროპის ბუნების

ინფორმაციული სისტემის (EUNIS) ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით კლასიფიცირდება შემდეგი ტიპის ჰაბიტატად: G1.1 - ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი; F9.1 - მდინარისპირა ბუჩქნარი: E2 - მეზოფილური მდელოები; E1 - მშრალი ველები; C2.2 - მუდმივი, მიქცევა-მოქცევისგან დამოუკიდებელი, სწრაფი, ტურბულენტური დინებები.

ანგარიშის თანახმად, საპროექტო არეალში წარმოდგენილია საქართველოს წითელი ნუსხით დაცული 2 სახეობა - პატარა თელადუმა (*Ulmus minor*) და კაკალი (*Juglans regia*), რომლებიც ზემოქმედებას ექვემდებარებიან. მცენარეულობისგან გაწმენდას ექვემდებარება დაახლოებით 0.93 კმ² ფართობის ტერიტორია. გზმ-ის ანგარიშით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად, ჰაბიტატების აღდგენა უნდა მოხდეს ეკვივალენტურ ფართობებზე იდენტურ ჰაბიტატებში. დარგული უნდა იქნას იმავე სახეობის შესაბამისი რაოდენობის ხე-მცენარეები და ბუჩქები (ინვაზიური ცრუაკაციის გარდა), რომლებზეც ზემოქმედება ხორციელდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ცვლილების ფარგლებში ფაუნისტური საველე კვლევები განხორციელდა 2023 წლის ოქტომბრის თვეში, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საკვლევ ტერიტორიაზე ცხოველთა სახეობრივი შემადგენლობის დადგენა, მოზინადრე ცხოველებისთვის მნიშვნელოვანი ადგილსამყოფლების გამოვლენა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საპროექტო არეალში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 35, ხელფრთიანების 10-მდე, ფრინველების 110-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 16, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა.

ლიტერატურული წყაროების და საველე კვლევის შედეგებით საპროექტო ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გვხვდება: წითელ ნუსხაში შესული ძუძუმწოვრიდან ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratorius*), ამიერკავკასიური ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), უფრო იშვიათია ნერინგის ბრუცა (*Nannospalax nehringi*), წავი (*Lutra lutra*) და ჭრელტყავა (*Vormela peregusna*) ასევე გვხვდება თოვლისა (*Chionomys nivalis*) და წყლის მემინდვრია (*Arvicola terrestris*), ჩვეულებრივი მემინდვრია (*Microtus arvalis*), საზოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis*). გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სახეობებისა, გრძელკუდა კბილთეთრა (*Crocidura gueldenstaedtii*), თეთრმუცელა კბილთეთრა (*Crocidura leucodon*), კავკასიური ბიგა (*Sorex satunini*), კავკასიური წყლის ბიგა (*Neomys teres*), კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*), მაჩვი (*Meles meles*), კურდელი (*Lepus europaeus*) და სხვა. მტაცებლებიდან ყველაზე ხშირად ვხვდებით მელას (*Vulpes vulpes*), კლდის კვერნას (*Martes foina*), დედოფალას (*Mustela nivalis*), შედარებით მცირე რაოდენობით არის ტურა (*Canis aureus*) და მგელი (*Canis lupus*).

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ორნითოლოგიური საველე კვლევა განხორციელდა 2023 წლის ნოემბრის თვეში. ტერიტორიაზე გამოვლენილ ფრინველთაგან, 40 მოზინადრე და მოზუდარი ფრინველია, ხოლო დანარჩენი სახეობები მიგრაციებზე მოხვდებიან, ან ტერიტორიაზე შემოდიან მხოლოდ გასამრავლებლად და გამოსაზამთრებლად. დაფიქსირებული და აღწერილი 112 სახეობის ფრინველიდან 6 სახეობა შესულია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ 4 მოწყვლადის (მთის არწივი *Aquila chrysaetos*, დიდი მყივანი არწივი *Clanga clanga*, ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა *Buteo rufinus*, თეთრი ყარყატი *Ciconia ciconia*) და 2 გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფის სტატუსით (წითელფეხა შავარდენი *Falco vespertinus*, რუხი წერო *Grus grus*). გზმ-ის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული სახეობები მოხვდებიან საპროექტო ტერიტორიაზე, თუმცა, არ იმყოფებიან უარყოფითი ზემოქმედების ზონაში, რადგან საპროექტო ტერიტორია მათთვის არ წარმოადგენს არც საზინადრო და არც საზუდარ ადგილს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჩატარდა იქთოლოგიური საველე კვლევითი სამუშაოები, ასევე შეფასდა მდინარის წყლის ხარისხი. ნიმუშების საველე და ლაბორატორიული ანალიზების შედეგების მიხედვით, წყლის ხარისხი აკმაყოფილებს ჰიდრობიონტების საარსებო პირობებს. გაანგარიშებული იქნა უხერხემლო ცხოველების ბიომასა, რომელიც დაახლოებით - 30 კგ/ჰა-ს

შეადგენს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, საკვები ბაზის ბიომასის მატება მოსალოდნელია.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის ექსპლუატაციის პროცესში ცხოველებზე ნეგატიური ზემოქმედების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს მდინარეში წყლის დონის ცვლილება და მცენარეული საფარით დაფარული ტერიტორიების შემცირება (წყალსაცავის შეტბორვის ზონა). ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორები შეიძლება იყოს, ცხოველთა სახეობები, რომელთა ნაწილს შესაძლებელია მოუწიოს დროებითი მიგრაცია რეგიონში არსებული, სხვა ანალოგიური ტიპის ეკოსისტემების მიმართულებით. ასევე, ექსპლუატაციის ფაზაზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება კაშხლის ქვედა დინებაში წყლის ხარჯის შემცირებასთან, რაც გამოიწვევს ამ სახეობის საკვები ბაზის შემცირებას. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ამ მხრივ დადებითი ზემოქმედებაა მოსალოდნელი წყალსაცავის შექმნასთან დაკავშირებით, სადაც ადგილი იქნება წავისათვის მდიდარი საკვები ბაზის შექმნას.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: კაშხლის ქვედა ბიეფში სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯის გატარება; დამატებითი წყალსაცავების ჩამქრობი აუზის და გამყვანი არხის სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება ისე, რომ ნაკლებად დაემთხვეს საპროექტო მონაკვეთში გავრცელებული თევზების, სატოფო და კვებითი მიგრაციის პერიოდებს; თევზსავალზე ვიდეომონიტორინგის სისტემის მოწყობა, თევზის მიგრაციის სისტემატურ კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით; დაგეგმილი ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოების შესრულება წყალმცირობის პერიოდში და სხვა.

დოკუმენტაციაში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

მშენებლობის პროცესში N1 და N2 სამშენებლო ბანაკების ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: შეწონილი ნაწილაკები და ცემენტის მტვერი. გაზნევის ანგარიში შესრულებულია ორივე ბანაკისთვის ცალ-ცალკე, დაშორების მანძილის გათვალისწინებით. ბანაკი N1-ს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს ობიექტებიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე. ხოლო ბანაკი N2-ს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობებს, როგორც ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, ასევე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (პირდაპირი მანძილი ობიექტიდან 275 მ). ამდენად სამშენებლო ბანაკების ფუნქციონირება არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე განთავსებული ხმაურის წყაროები, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ჰიდროაგრეგატები. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მშენებლობის ეტაპზე ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, რომლის მიხედვით სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე ხმაურის გამომწვევი წყაროების ერთდროულად მუშაობის (ყველაზე უარესი სცენარი) შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური დონე N1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე იქნება 94,2 დბა, ხოლო დაცილების მანძილის (დაახლოებით 2 კილომეტრი) გათვალისწინებით უახლოეს საცხოვრებელ ზონასთან აღნიშნული მაჩვენებელი იქნება 13,7 დბა. N2 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ხმაურის ჯამური დონე იქნება 91,1 დბა, ხოლო დაცილების მანძილის (275 მ) გათვალისწინებით უახლოეს საცხოვრებელ ზონასთან 46,7 დბა. გზმ-ის ანგარიშით თანახმად, ხმაურის გავრცელების დონეები შემცირდება საცხოვრებელ ზონასა და სამშენებლო ბანაკებს შორის არსებული გატყვიანებული ტერიტორიის არსებობით, რის შედეგადაც ხმაურის დონეების

ნორმაზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ექსპლუატაციის ეტაპზე ჰიდროაგრეგატები მოთავსებული იქნება დახურულ კორპუსში (გარსაცმში) და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაური არ გადააჭარბებს კანონმდებლობით განსაზღვრულ დონეს. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე.

პროექტის განხორციელებისას, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სახეობის და სახიფათობის მიხედვით. კონტეინერებში განთავსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენები დაგროვების შესაბამისად გატანილი იქნება უახლოეს არსებულ ნაგავსაყრელზე, სახიფათო ნარჩენების დასაწყობება მოხდება სპეციალურ სასაწყობო სათავსში, რომელიც შემდგომი მართვისთვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით. ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა, ნარჩენების წარმოქმნა დაკავშირებული იქნება ძირითადად ჰესის ექსპლუატაციასთან და დროდადრო სარეაბილიტაციო სამუშაოებთან. გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც აღწერილია პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები, რაოდენობები და მართვის საკითხები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე პროექტის გავლენის ზონაში ჩატარდა არქეოლოგიური კვლევები, რომლის მიხედვით, ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალის აღმოჩენა არ დადასტურებულა. ასევე, გზმ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტში შეტანილი ცვლილებები ხორციელდება ძირითადი პროექტით განსაზღვრულ საპროექტო არეალში, უკვე აშენებული ნაგებობების ფარგლებში და დამატებითი ტერიტორიების ათვისებას ადგილი არ აქვს. რის გამოც, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ნეგატიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, წყალსაცავის ექსპლუატაციის პერიოდში გაიზრდება აორთქლებული ტენის რაოდენობა, რაც გარკვეულ ნეგატიურ გავლენას მოახდენს ადგილობრივ კლიმატურ პირობებზე, მაგრამ ზემოქმედება იქნება ლოკალური და რეგიონულ ან გლობალურ კლიმატზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორიაზე მდებარეობს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების #119 - შპს „მტკვარი ჰესი“ ლიცენზია (ორი უბანი) და სანიტარიული დაცვის პირველი მკაცრი რეჟიმის ზონა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, გზმ-ის ანგარიშში და თანდართული დოკუმენტაცია, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად განისაზღვრა წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის ვადა 2024 წლის 22 მარტის ჩათვლით. ამასთან სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 29 თებერვალსა და 1 მარტს, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. საყუნეთის ახალგაზრდული ცენტრისა და ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველის ადმინისტრაციული

ერთეულის შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „მტკვარი ჰესის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ეხებოდა გამათანაბრებელი რეზერვუარიდან სოფ. საყუნეთისათვის წყლის მიწოდების, სამოვარ ტერიტორიაზე დასარწყულელებელი წყლის მიყვანისა და ტერიტორიის წყლის მომარაგების საკითხებს, პირუტყვის გადარეკვისათვის საჭირო გზის მოწყობის, ელექტროენერგიით მომარაგების, ზეგავლენის ზონაში მოქცეული მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული კომპენსაციის საკითხებს, სარწყავი სისტემის მოწყობის, მდინარე მტკვარზე არსებული დაზიანებული ხიდის რეკონსტრუქციის, მეწყრული ფერდობების გამაგრების, თევზაობის, წყალსაცავისათვის საჭირო ტერიტორიაზე არსებული ნარგავების ჭრის საკითხებს და სოფ. ძველიდან კაშხლამდე ჩასასვლელი გზის მოხრეშვის საკითხებს. საჯარო განხილვაზე გამოთქმული კითხვები და შესაბამისი განმარტებები აისახა საჯარო განხილვის სხდომის ოქმში.

როგორც აღინიშნა დაინტერესებული საზოგადოებისთვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად განისაზღვრა წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის ვადა 2024 წლის 22 მარტის ჩათვლით. სააგენტოს მიერ შპს „რუსთავ-ჰესთან“ გაგზავნილი წერილის (N21/2842 20.03.2024) საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული იყო გზმ-ის ანგარიშზე მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, შპს „რუსთავ-ჰესის“ წარმომადგენელმა როინ მიგრიულმა სააგენტოში წარმოადგინა განცხადება (N3618 05.04.2024) წარმოებაში ჩართვის შესახებ. განცხადების თანახმად, მტკვარი ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტმა შესაძლოა გააუარესოს შპს „რუსთავ-ჰესის“ სამართლებრივი მდგომარეობა და საფრთხე შეუქმნას მოქმედი ჰესის არსებობას, რომელიც მდებარეობს მტკვარი ჰესის კაშხლის ქვედა ბიეფში დაახლოებით 1 კმ-ის დაცილებით (ჰესის დადგმული სიმძლავრე-0.51 მგვტ).

აღნიშნულის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წერილობით ეცნობა როგორც შპს „მტკვარი ჰესს“, ასევე შპს „რუსთავ-ჰესს“ და მიეწოდა ინფორმაცია, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის თანახმად, კომპანიებს შორის საბოლოო შეთანხმების შესახებ ინფორმაცია, მტკვარი ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე წარდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. ასევე გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ქვედა ბიეფში წყლის ხარჯის შემცირება, ნეგატიურად აისახება შპს „რუსთავ-ჰესის“ ექსპლუატაციის პირობებზე. აღნიშნული საკითხი შპს „მტკვარი ჰესის“ და შპს „რუსთავ-ჰესის“ ურთიერთშეთანხმების საგანია და შედეგების შესახებ ინფორმაცია დამატებით იქნება წარდგენილი სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. ამასთან, წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშის თანახმად, არ იცვლება ჰესის მიერ ასაღები წყლის ხარჯისა და ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობები.

კომპანიებს ასევე ეცნობა, რომ მინისტრის 2019 წლის 11 ივნისის N2-512 ბრძანებით შპს „მტკვარი ჰესის“ ჰიდროელექტროსადგურის (მტკვარი ჰესი) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობის თანახმად, შპს „მტკვარი ჰესმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე წყალსაცავის ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გატარებასთან ერთად უნდა უზრუნველყოს არსებული წყალმომხმარებლის ინტერესების გათვალისწინება, ამასთან ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს ჰიდროლოგიური მონაცემების წარმოდგენა. საჭიროების შემთხვევაში ექსპლუატაცია განახორციელოს სამინისტროს მიერ დადგენილი ახალი ხარჯის შესაბამისად.

შპს „მტკვარი ჰესის“ მიერ სააგენტოს წერილთან დაკავშირებით პოზიცია წარმოდგენილი იქნა 2024 წლის 4 ივნისის (N5575), რომლის თანახმად კომპანია მზადაა ზემოაღნიშნული პირობის შესაბამისად უზრუნველყოს ექსპლუატაციის ეტაპზე წყალსაცავის ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გატარებასთან ერთად არსებული წყალმომხმარებლის ინტერესების გათვალისწინება.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :


1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში, მდ. მტკვარზე შპს „მტკვარი ჰესის“ 54,1 მგვტ. სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მტკვარი ჰესი) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „მტკვარი ჰესმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშზე თანდართული (დანართები) დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გზშ-ის ანგარიშსა და საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევებში მოცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების, მათ შორის მეწყრული უბნების (1, 2 და 5) სტაბილიზაციასთან დაკავშირებული და ფუჭი ქანების სანაყაროს მდგრადობასთან დაკავშირებული რეკომენდაციების/ვალდებულებების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
4. შპს „მტკვარი ჰესმა“ უზრუნველყოს ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების“ შესაბამისად;
5. შპს „მტკვარი ჰესმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
6. შპს „მტკვარი ჰესმა“ ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
7. შპს „მტკვარი ჰესმა“ ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს ხარჯმზომ(ებ)ის მოწყობა სააგენტოსთან შეთანხმებით. ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივად უზრუნველყოს წყლის ხარჯების მონიტორინგი და შედეგების კვარტალში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ ეკოლოგიური ხარჯის მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება, ჰესის ოპერირება განახორციელოს სააგენტოს მიერ დადგენილი გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად;
8. შპს „მტკვარი ჰესმა“ ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე, საჭიროების შემთხვევაში სააგენტოსთან შეთანხმებით უზრუნველყოს ბუნებრივი საფრთხეების გამოვლენისათვის ჩატარებული შესაბამისი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების წინასწარი გაფრთხილების მიზნით განგაშის სისტემის დანერგვა. ამასთან უზრუნველყოს კაშხლის გარღვევის სიმულაციისა და შეტყობინების სისტემის, ასევე წყალსაცავის ზონაში არსებული მეწყერსაშიში უბნების

მდგრადობის გაანგარიშებებისადა მიღებული ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავება;

9. შპს „მტკვარი ჰესმა“ უზრუნველყოს საპროექტო ტერიტორიაზე გეოდინამიკური პროცესების მუდმივი მონიტორინგის განხორციელება, ხოლო მონიტორინგის შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში განსახილველად წარმოდგენა. მონიტორინგის შედეგად, საჭიროების შემთხვევაში საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკის შემცირების მიზნით უზრუნველყოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
10. შპს „მტკვარი ჰესმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების/მშენებლობის ეტაპზე უზრუნველყოს ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო არეალში არსებული მიწისქვეშა წყლების, მათ შორის სასმელი წყაროების დაფიქსირება, ხოლო წყაროების დებიტის ცვლილების ან/და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შემთხვევაში მოსახლეობის ალტერნატიული წყალმომარაგების ქსელით უზრუნველყოფა. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების/მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე აწარმოოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ არსებული ზედაპირული და სასმელი წყლის ხარისხის ყოველკვარტალური ლაბორატორიული კონტროლი;
11. შპს „მტკვარი ჰესმა“ 10 კვ ძაბვის ეგხ-ს გაყვანამდე უზრუნველყოს ეგხ-ს დერეფნის გეოლოგიური კვლევების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა, ასევე განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასახული უნდა იყოს ფრინველებზე, მათ შორის ხელფრთიანებზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე (მაგალითად: ელექტროსადენებთან შეჯახებით სიკვდილიანობა) დაკვირვების საკითხი. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს შემარბილებელი ღონისძიებები;
12. შპს „მტკვარი ჰესმა“ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს წავის საპროექტო ტერიტორიაზე არსებობასა და მასზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი, ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით;
13. შპს „მტკვარი ჰესმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე იქთიოლოგიური კვლევების ჩატარებისას უზრუნველყოს იქთიოფაუნის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, მიღებული შედეგების საფუძველზე, სააგენტოსთან საკომპენსაციო დათევზიანების გეგმის შეთანხმება. ამასთან, დათევზიანების ღონისძიებები განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
14. შპს „მტკვარი ჰესმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე წყალსაცავის ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გატარებასთან ერთად უზრუნველყოს არსებული წყალმომხმარებლების ინტერესების გათვალისწინება. საჭიროების შემთხვევაში, ექსპლუატაცია განახორციელოს სააგენტოს მიერ დადგენილი ახალი ხარჯის შესაბამისად;
15. შპს „მტკვარი ჰესმა“ ნაპირსამაგრი ნაგებობ(ებ)ის მოწყობამდე უზრუნველყოს ნაპირსამაგრი ნაგებობ(ებ)ის დეტალური პროექტების სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა shp ფაილებთან ერთად. მშენებლობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული პროექტების შესაბამისად;
16. შპს „მტკვარი ჰესმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;
17. შპს „მტკვარი ჰესმა“ უზრუნველყოს დატბორვის არეალის გარეთ არსებული სამშენებლო ბანაკის/მოედნების ტერიტორიების რეკულტივაცია. სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების შესაბამისად;

18. შპს „მტკვარი ჰესმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
19. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მტკვარი ჰესს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
20. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მტკვარი ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
21. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე;
22. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

